საქართველოს გენერალური პროკურატურა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში

ანგარიში მომზადებულია საქართველოს გენერალური პროკურატურის
საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ

2024

სარჩევი

შესავალი **2**

1. არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამა და პროგრამის 2024 წლის შედეგები **3**

1.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მიზანი და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები 3

1.2. განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის დანერგვა საქართველოში 7

1.3. 2010-2024 წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა ზოგადი სტატისტიკა 8

1.4. 2023 წელს არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობა 9

1.5. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი 12

1.6. 2024 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა სტატისტიკა დანაშაულთა კატეგორიისა და სახის მიხედვით 14

1.7. მედიაციის მაჩვენებელი 2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ 20

1.8. 2024 წელს განრიდების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში 24

1.9. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობა 26

1.10. 2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვნებთან გაფორმებული ხელშეკრულების ხანგრძლივობა, განრიდების ფარგლებში გამოყენებული ღონისძიებები და განრიდების ხელშეკრულების დარღვევის მაჩვენებელი 28

2. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი **32**

2.1. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ზოგადი სტატისტიკა 32

2.2. 2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა დანაშაულის კატეგორიებისა და სახის მიხედვით 36

2.3. 2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები 39

2.4. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები 41

3. შეჯამება - 2024 წლის ძირითადი ტენდენციები **42**

შესავალი

მიზანი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურის სტრატეგიით გათვალისწინებული ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით - საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს.

საქართველოს პროკურატურა, სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად, არაერთ ღონისძიებას ახორციელებს, რომელთა შორის არასრულწლოვანთა მიმართ მტკიცებულებებზე დაფუძნებული სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანის შესრულების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი ყოველწლიურად აანალიზებს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით კვლევითი და ანალიტიკური საქმიანობა, თავის მხრივ, ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომებით დაიგეგმოს და განხორციელდეს ღონისძიებები, რაც მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში საპროკურორო საქმიანობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებას.

ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია

ანგარიშში წარმოდგენილია განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები.

ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში ხდება სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა საქმეზე გამოძიების დაწყებიდან შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებამდე. მონიტორინგის შედეგები შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა ძირითადი სტატისტიკური ინფორმაცია დინამიკაში, წინა წლებთან შედარებით დანაშაულის სახის, კატეგორიის, პროკურატურის სტრუქტურული ერთეულის მიხედვით და გენდერულ ჭრილში. ასევე, მონიტორინგის შედეგები შესაძლებლობას იძლევა დამუშავდეს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ მიღებული გადაწყვეტილების დროულობის, განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოდან განრიდების მიზნით დაბრუნებული საქმეების, განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის, განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ვადებისა და ხელშეკრულების პირობების, ასევე, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების შესახებ.

ზემოაღნიშნული ინფორმაცია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის მნიშვნელოვანი ტენდენციების გამოკვეთისა და შემდგომი სწორი პოლიტიკის დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა.

1. არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამა და პროგრამის 2024 წლის შედეგები

1.1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მიზანი და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები

არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენების მიზნებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განრიდების განმარტების ფარგლებში მკაფიოდ აყალიბებს, რაც მოიცავს:

⇒ არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას;
⇒ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.[1]

განრიდებას, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს, სწორედ მაშინ იყენებს პროკურორი, როდესაც ის სისხლისსამართლებრივ დევნაზე უკეთ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. [2]

განრიდების ასეთი განმარტება სრულ შესაბამისობაშია ბავშვის საუკეთესო ინტერესთან და საერთაშორისოსამართლებრივ სტანდარტებთან. ბავშვის უფლებათა დაცვის ფუნდამენტური დოკუმენტი - ბავშვის უფლებათა ევროპული კონვენცია მე-40 მუხლში ადგენს სახელმწიფოთა მკაფიო ვალდებულებას ყველა იმ ბავშვის მიმართ, რომელიც იმხილება დანაშაულის ჩადენაში, შეიმუშაოს ისეთი ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებს მას ადამიანის უფლებებისა და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი საზოგადოებაში რეინტეგრაციის, ასევე საზოგადოებაში სასარგებლო როლის შესრულების სასურველობას.[3]

საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები განრიდებას მოიაზრებს პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე, არასრულწლოვნის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესზე დაფუძნებულ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმად. განრიდება ეს არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდას განარიდებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის, სასჯელის და ნასამართლობისაგან, თუმცა, მას ჩადენილ ქმედებაზე პასუხისმგებლობას აკისრებს ალტერნატიული ფორმით, რითაც ხელს უწყობს ჩადენილი დანაშაულის გააზრებას.[4] პროგრამა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აძლევს შესაძლებლობას გამოასწოროს ჩადენილი ქმედება და დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება სუფთა ფურცლიდან, ნასამართლობის გარეშე.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოდალური კანონი და მისი კომენტარები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ

[1] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 3.
[2] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მუხლი 8.
[3] ბავშვის უფლებათა ევროპული კონვენცია. მუხლი 40.
[4] Best Practices in Youth Diversion. University of Maryland School of Social Work. 2018, pg. 3// https://theinstitute.umaryland.edu/media/ssw/institute/md-center-documents/Youth-Diversion-Literature-Review.pdf

სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიების - განრიდების განმარტებისას მიუთითებს, რომ „განრიდების მიზანია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მიმართ სასამართლო განხილვის დაწყების თავიდან აცილება ან დაწყებული განხილვის შეჩერება, და გავლენის მოხდენა ბავშვის სწორ განვითარებაზე მისი პერსონალური პასუხისმგებლობის გაძლიერებით, რათა ხელი შეუწყოს ბავშვის რეინტეგრაციასა და მის მიერ კონსტრუქციული როლის შესრულებას საზოგადოებაში.“[5]

NODOC-ის მიერ შემუშავებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოდალური კანონისა და მისი კომენტარების თანახმად, განრიდების პროგრამა უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სტიგმატიზაციის შემცირებას. განრიდების პროცესი სრულად ეფუძნება არასრულწლოვნის საჭიროებების გათვალისწინებას. განრიდების პროგრამის ფარგლებში არასრულწლოვანთან გაფორმებული განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებით არასრულწლოვანს პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე დაფუძნებული ვალდებულებები ეკისრება. ამასთან, მაქსიმალურად უზრუნველყოფილია პროცესში დაზარალებულის ჩართულობა.[6] გარდა ზემოაღნიშნულისა, განრიდების პროგრამა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან ფორმალური სამართლებრივი პროცედურების შემცირების გზით, უზრუნველყოფს არასრულწლოვნის დელიქვენტური ქცევის დაძლევას და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.[7]

გარდა ზემოაღნიშნულისა, განრიდების პროგრამა, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან ფორმალური სამართლებრივი პროცედურების შემცირების გზით, უზრუნველყოფს არასრულწლოვნის დელიქვენტური ქცევის დაძლევას და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.[8]

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების სოციალური რეაბილიტაციის მიზნებიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების აუცილებლობას ხაზს უსვამს „გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (ვენის დებულებები),“[9] „გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების წესების შესახებ (პეკინური წესები)“[10] და გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 10.[11]

აღსანიშნავია, რომ განრიდების საკითხს შეეხო გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2019 წლის ზოგადი კომენტარი №24 „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ,“ რომლის მე-16 მუხლში მკაფიოდ არის აღნიშნული: „უმეტეს შემთხვევებში განრიდება უნდა წარმოადგენდეს ბავშვებთან ურთიერთობის სასურველ გზას. მონაწილე სახელმწიფოებმა მუდმივად უნდა გააფართოონ იმ დანაშაულთა დიაპაზონი, რომელიც ითვალისწინებს განრიდებას, მათ შორის, მძიმე დანაშაულების შემთხვევაში. განრიდების

[5] Model Law on Juvenile Justice and Related Commentary. Model Law on Juvenile Justice and Related Commentary, Vienna, 2011// https://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/Justice_Matters_Involving-Web_version.pdf

[6] Best Practices in Youth Diversion. University of Maryland. School of Social Work. 2018, pg. 4// https://theinstitute.umaryland.edu/media/ssw/institute/md-center-documents/Youth-Diversion-Literature-Review.pdf

[7] Juvenile Diversion Guidebook, Prepared by the Models for Change Juvenile Diversion Workgroup, March 2011, page 11, https://www.modelsforchange.net/publications/301/Juvenile_Diversion_Guidebook.pdf

[8] Juvenile Diversion Guidebook, Prepared by the Models for Change Juvenile Diversion Workgroup, March 2011, page 11, https://www.modelsforchange.net/publications/301/Juvenile_Diversion_Guidebook.pdf

[9] იხ.: გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ (ვენის დებულებები). მუხლი 15

[10] იხ.: გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების წესების შესახებ (პეკინური წესები). მუხლი 11

[11] იხ.: მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 10. ინტერვენციები სამართალწარმოების გარეშე. მუხლები 24-27

შესაძლებლობით სარგებლობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს სისტემაში მოხვედრის ადრეულ სტადიაზე და მთელი პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე. განრიდება უნდა წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განუყოფელ ნაწილს.“[12]

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით მოცემული განრიდების განმარტება, ასევე, განრიდების/განრიდება-მედიაციის გამოყენების პროცედურა, ზემოაღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებთან, ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან და ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებასთან სრულ შესაბამისობაშია, რადგან:

⇒ განრიდების მიზანი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაზე დაფუძნებული მიდგომებით არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, მისი განვითარების სათანადო ხელშეწყობა, საზოგადოებაში ინტეგრაცია და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებაა;
⇒ განრიდების პროცესში მაქსიმალურად ხდება არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება. ბავშვის შეფასებას მისი ბიო-ფსიქო-სოციალური გარემოებების გაანალიზებით სოციალური მუშაკი ახდენს;
⇒ განრიდების პროცესში მაქსიმალურად არის მხარდაჭერილი აღდგენითი მიდგომების გამოყენება და აღდგენითი მართლმსაჯულების ისეთი კომპონენტი, როგორიც არის მედიაცია, რაც პროცესში დაზარალებულის ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას უზრუნველყოფს.

ამასთან, განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის განხორციელება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

⇒ ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა;
⇒ ნებაყოფლობითობა;
⇒ პროპორციულობა;
⇒ კონფიდენციალურობა;
⇒ სტიგმატიზაციის დაუშვებლობა;
⇒ არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.[13]

განრიდების მიზნებიდან გამომდინარე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების განსახორციელებლად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლმა ყველაზე მსუბუქი საშუალებებისა და ალტერნატიული ზომების გამოყენების პრიორიტეტულობის პრინციპის განსაზღვრისას მიუთითა, რომ „არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას,“ ხოლო კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად, „თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.“

[12] იხ.: გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №24 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ. მუხ. 16, 72
[13] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ“.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღნიშნული საკანონმდებლო ნორმები ასევე სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების პრიორიტეტულობას ხაზს უსვამს არაერთი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი:

⇒ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები)“ მე-11 მუხლში საუბრობს ალტერნატიული ღონისძიებებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლაზე და მიუთითებს, რომ არასრულწლოვნის საქმის განხილვა ფორმალური განხილვის გარეშე უნდა მოხდეს.[14]

⇒ მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 ასევე მიუთითებს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენების პრიორიტეტულობაზე. „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, რომელიც გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ ისეთი ალტერნატიული ზომების გამოყენებას, როგორიცაა მართლმსაჯულების სისტემისაგან განრიდება და აღდგენითი მართლმსაჯულება, საშუალებას მისცემს მონაწილე სახელმწიფოებს, უპასუხონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საჭიროებებს. ამ გზით, ისინი შეძლებენ არა მხოლოდ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის, არამედ საზოგადოების მოკლე და გრძელვადიანი ინტერესების დაცვასაც,“ - აღნიშნულია გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მე-10 კომენტარში.[15]

⇒ თავად ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, იმ ბავშვების მიმართ, რომლებმაც სავარაუდოდ დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევებად, მხარი დაუჭირონ ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც არ ითვალისწინებს ფორმალურ სამართალწარმოებას. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ არასრულწლოვანი კანონდამრღვევების უმეტესობა ძირითადად მსუბუქ დანაშაულს სჩადის, მათ მიმართ ისეთი ზომების გატარება, რომლებიც გამიჯნულია სისხლის სამართლის/არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებისგან და გულისხმობს ალტერნატიული (სოციალური) სერვისების გამოყენებას (მაგალითად, განრიდებას), უნდა იყოს რაც შეიძლება ფართოდ დანერგილი და გავრცელდეს საქმეების უმეტესობაზე.“

[14] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინური წესები). მუხლი 11// https://www.unodc.org/pdf/compendium/compendium_2006_part_01_02.pdf

[15] ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10. 2007// https://www2.ohchr.org/english/bodies/crc/docs/crc.c.gc.10.pdf

1.2. განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის დანერგვა საქართველოში

განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის დანერგვა საქართველოში 2010 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო:

- ⇒ 2010 წლის 15 ნოემბერს განრიდების პროგრამა თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ბათუმის მასშტაბით ამოქმედდა. პირველი არასრულწლოვანი იმავე წელს - 19 ნოემბერს თბილისში განრიდდა.
- ⇒ 2011 წლის ნოემბერში დაემატა 2 ქალაქი: გორი და სამტრედია.
- ⇒ 2012 წლის თებერვალში - 9 ახალი ქალაქი: მცხეთა, კასპი, გარდაბანი, წყალტუბო, ტყიბული, ბაღდათი, ხონი, ვანი და ქობულეთი.
- ⇒ 2013 წლის აპრილში პროგრამა ამოქმედდა დამატებით შემდეგ 25 ქალაქში: ხაშური, ქარელი, დუშეთი, ახალგორი, თიანეთი, ყაზბეგი, მარნეული, თეთრიწყარო, წალკა, გურჯაანი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, სიღნაღი, დედოფლისწყარო, საგარეჯო, ზუგდიდი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, ფოთი, ხობი, სენაკი, აბაშა და მარტვილი. ამავე წელს პროგრამა ეტაპობრივად გავრცელდა საქართველოს სხვა ტერიტორიაზე.
- ⇒ 2014 წლიდან კი განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოქმედდა.

განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის სრულყოფის მიზნით, 2010 წლიდან დღემდე რიგი ღონისძიებები განხორციელდა:

- ⇒ 2014 წლიდან განრიდების გამოყენება შესაძლებელი გახდა მძიმე კატეგორიის დანაშაულზეც.
- ⇒ პრაქტიკის სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების შედეგად, იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანებით, დეტალურად გაიწერა განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროცედურები და განრიდების პროცესში მონაწილე პირების მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების ვადები.
- ⇒ გაიზარდა მედიატორის როლი დაზარალებულთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, განრიდების პროცესის დაწყების ეტაპზევე.
- ⇒ დაიხვეწა და უფრო სრულყოფილი გახდა განრიდებისა და განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ფორმები, რომლებიც შეიცავს დეტალურ ინფორმაციას არასრულწლოვნის მონაცემების, მის მიერ ჩადენილი ქმედების, მხარეთა უფლება-მოვალეობების, განრიდების პირობების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და მისი დარღვევის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების შესახებ.
- ⇒ 2016 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით განრიდება-მედიაციის მოქმედების ფარგლები გაფართოვდა პირთა წრის მიხედვით და არასრულწლოვნების გარდა, პროგრამაში 18-დან 21 წლამდე ასაკის პირების ჩართვაც გახდა შესაძლებელი.
- ⇒ 2016 წლიდან პროკურატურაში დაინერგა არასრულწლოვან განრიდებულთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის მექანიზმი.
- ⇒ საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განახლდა განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამის სახელმძღვანელო მითითებები.

1.3. 2010-2024 წლებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა ზოგადი სტატისტიკა

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2010-2024 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის სულ 8854 პირი განრიდდა, საიდანაც 5374 (61%) იყო არასრულწლოვანი, ხოლო 3480 (39%) - 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი.

უშუალოდ 2024 წელს კი, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა სულ 1084 პირის მიმართ, საიდანაც 674 (62%) პირი იყო არასრულწლოვანი, ხოლო 410 (38%) - 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი.

14 დან -21 წლამდე ასაკის პირების განრიდების სტატისტიკა წლების მიხედვით



დიაგრამის მიხედვით, არასრულწლოვანთა განრიდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2024 წელს დაფიქსირდა.

განრიდებულ პირთა მონაცემები გაანალიზდა სქესის მიხედვით და, 2024 წელსაც, გასული წლების მსგავსად, განრიდება უმეტესად გამოყენებულ იქნა მამრობითი სქესის არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე პირთა მიმართ.

2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან 624 (93%) იყო მამრობითი სქესის, ხოლო 50 (7%) - მდედრობითი. 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებული 410 პირიდან 363 (89%) მამრობითი, ხოლო 47 (11%) - მდედრობითი სქესის იყო.

მდედრობითი სქესის პირთა მიმართ განრიდების გამოყენების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დაბალია გოგონათა მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 674 განრიდებული არასრულწლოვნიდან მხოლოდ 1 იყო თურქეთის მოქალაქე. 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებს შორის 2 განრიდებული ინდოეთის მოქალაქე იყო, 1 - აზერბაიჯანის, ხოლო 1 - უკრაინის მოქალაქე გახლდათ.

1.4. 2023 წელს არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობა

განრიდების მიზნებისა და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების განხილვისას აღინიშნა, რომ ვინაიდან ზემოაღნიშნული მექანიზმი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საზოგადოებაში სწორ ინტეგრაციას ემსახურება, საქართველოს კანონმდებლობამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, დაადგინა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების პრიორიტეტულობა. თუმცა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, რომელიც განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, არ ხდება ავტომატურ რეჟიმში. როგორც უკვე აღინიშნა, განრიდების მიზანია არასრულწლოვნის საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება. შესაბამისად, პროკურორი, განრიდების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში აფასებს რამდენად უზრუნველყოფს განრიდება ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 და 38-ე მუხლები კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გამოყენების პრიორიტეტულ განხილვაზე და არა უპირობო გამოყენებაზე მიუთითებენ. კანონმდებლობა ადგენს განრიდების გამოყენების პრიორიტეტულობას, რაც გულისხმობს პროკურორის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ პირველ რიგში განრიდების გამოყენების შესაძლებლობის განხილვას. კერძოდ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილისა და 38-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, პროკურორები არასრულწლოვანთა მიმართ პირველ რიგში სწორედ განრიდების გამოყენების შესაძლებლობას განიხილავენ. პროკურორი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ იღებს, როდესაც დარწმუნდება, რომ განრიდება-მედიაცია ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას. აღნიშნული საკითხის შეფასებისას პროკურორი, სისხლის სამართლის საქმეში არსებულ გარემოებებთან ერთად, ითვალისწინებს არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასებით გამოკვეთილ რისკებსა და დამცავ ფაქტორებს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წლიდან (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ) კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. პანდემიიდან გამომდინარე გარკვეული გამოწვევების გათვალისწინებით, 2019 წელთან შედარებით, 2020 წელს არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით 3%-ით იყო შემცირებული. თუმცა, 2021 წელს კვლავ აღდგა განრიდების გამოყენების ზრდის დინამიკა და რაოდენობრივ მაჩვენებელთან ერთად მოიმატა არასრულწლოვანთა განრიდების ხვედრითმა წილმაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან მიმართებით. კერძოდ, 2021 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა იყო 610, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 363 (59%) არასრულწლოვანი, ხოლო 2022 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა იყო 927, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩაერთო 585 (63%) არასრულწლოვანი. 2023 წლის მონაცემებით განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 1010-ს შეადგენდა, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში 544 (54%) არასრულწლოვანი ჩაერთო. 2024 წლის მონაცემებით კი, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამური რაოდენობა 1164 პირს შეადგენს, საიდანაც განრიდების/განრიდება-მედიაციის პროგრამაში

ჩაერთო 58% (674 არასრულწლოვანი). აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი 2023 წელთან შედარებით 4%-ით არის გაზრდილი.

წლების მიხედვით განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობაში განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობა წლების მიხედვით შემდეგია:





ზემოთ მოცემული სტატისტიკური მაჩვენებლები გამოანგარიშებულია განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან, რაც მოიცავს იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობას, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ან არ აკმაყოფილებდნენ განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, 2023 წლის მონაცემებით, მართალია, არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი კვლავ მაღალი (8%-ით) იყო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან შედარებით, თუმცა, 2022 წელთან შედარებით, ეს მაჩვენებელი 9%-ით შემცირდა. 2023 წელს განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობაში განრიდების ხვედრითი წილის შემცირება 2022 წელთან შედარებით განპირობებული არ იყო პროკურორთა მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე უარის თქმით. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფდა, რომ 2023 წელსაც მაღალი გახლდათ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი იმ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ. ამდენად, მომატებულია დანაშაულის ჩამდენ იმ არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომლებიც განრიდების კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ. 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებით კვლავ მოიმატა განრიდების პროცენტულმა მაჩვენებელმა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შეფასებისა და განრიდების გამოყენების მაჩვენებლის ზუსტი განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვანია, განრიდების რაოდენობა შედარდეს მხოლოდ იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობას, რომლებიც განრიდების ფორმალურ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ, თუმცა, პროკურორმა, დისკრეციული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო.

2024 წელს ბრალდებული 490 პირიდან განრიდების კანონით დადგენილ კრიტერიუმს მხოლოდ 170 არასრულწლოვანი აკმაყოფილებდა. ამდენად, 2024 წლის მონაცემებით, განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ 844 პირს შეადგენს, საიდანაც პროკურორმა განრიდების გადაწყვეტილება არასრულწლოვანთა 80%-ის (674 პირი) მიმართ მიიღო.

2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იმ პირთა საერთო რაოდენობიდან (844), რომლებიც აკმაყოფილებდნენ განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს



ზემოაღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ პროკურორები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე, არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას განიხილავენ.

2019 წელს ზემოაღნიშნული მაჩვენებელი იყო 76%, 2020 წელს - 75%, ხოლო 2021-2024 წლებში განრიდების ხვედრითი წილი, განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, სტაბილურად 80%-ს შეადგენს. ამდენად, 2020 წელთან შედარებით, ბოლო 4 წლის განმავლობაში, შენარჩუნდა განრიდების გამოყენების მინიმუმ 5%-იანი მატება განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ, რომლებიც განრიდების კანონით დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ.

2020-2024 წლებში განრიდების ხვედრითი წილი იმ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით, რომლებიც კანონით დადგენილ განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ



1.5. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი

განრიდების მიზნების ეფექტიანად მიღწევის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროგრამებში დროული ჩართვა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ მართლმსაჯულების საწყის ეტაპზევე მოხდეს არასრულწლოვნის განრიდება ფორმალური პროცედურებისგან და ის რაც შეიძლება მალე ჩაერთოს შესაბამის სერვისებში.

რა თქმა უნდა, პრაქტიკაში არის ერთეული შემთხვევები, როდესაც პროკურორს განრიდების გადაწყვეტილების მიღება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ უწევს, თუმცა სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილებას პროკურორი სამართალწარმოების საწყის ეტაპზევე იღებს.

2024 წლის მონაცემების თანახმად, 674 განრიდებული არასრულწლოვნიდან განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა მხოლოდ 17 არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 2,5%-ს შეადგენს.

განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებული იქნა აღნიშნულ 17 შემთხვევაში არასრულწლოვანთა მიმართ განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების აუცილებლობის საკითხი. მონიტორინგის შედეგების თანახმად, 17 არასრულწლოვნიდან: 2 პირის მიმართ არსებობდა დევნის დაწყების აუცილებლობა, ვინაიდან მათი დაკავება დანაშაულზე წასწრების გამო მოხდა; 7 შემთხვევაში განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება საჯარო ინტერესისა და დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით იქნა მიღებული (მათ შორის, 1 არასრულწლოვანს ჩადენილი ჰქონდა სსკ-ის 258-ე მუხლით (მიცვალებულისადმი უპატივცემულობა), 2 არასრულწლოვანს - სსკ-ის 259-ე მუხლით (ცხოველის წამება, მისდამი სასტიკი მოპყრობა ან სხვაგვარი ძალადობა) გათვალისწინებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, დანარჩენ შემთხვევებში კი, სახეზე გვქონდა დანაშაულთა ერთობლიობა - ჯანმრთელობის წინააღმდეგ და ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის ფაქტი); 8 შემთხვევაში არასრულწლოვნები გამოძიების ეტაპზე არ აღიარებდნენ დანაშაულს, საქმე წარიმართა სასამართლოში და უკვე საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის აღიარების შემდეგ, მოხდა სასამართლოს მიერ საქმის პროკურატურისთვის დაბრუნება და არასრულწლოვანთა განრიდება.

რაც შეეხება სასამართლოდან განრიდების მიზნით არასრულწლოვნის საქმეების პროკურატურისთვის დაბრუნების მაჩვენებელს, 2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან, სასამართლომ მხოლოდ 15 არასრულწლოვნის საქმე დააბრუნა განრიდების მიზნით, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 2%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2023 წელსაც არასრულწლოვანთა განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი 2% იყო. 2023-2024 წლებში, წინა წლებთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია. განრიდების მიზნით არასრულწლოვანთა საქმის სასამართლოდან დაბრუნების მაჩვენებელი 2022 წელს იყო 3%, 2021 წელს – 5%, ხოლო 2020 წელს – 9%.

სასამართლოდან განრიდების მიზნით დაბრუნებულ საქმეთა მაჩვენებელი



სასამართლოდან განრიდების მიზნით სისხლის სამართლის საქმეთა დაბრუნების დაბალი მაჩვენებელი ცალსახად მიუთითებს, რომ პროკურორები არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას სამართალწარმოების საწყის ეტაპზევე სწორად და დროულად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციაზე დაფუძნებული მიდგომებით იღებენ.

1.6. 2024 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით განრიდებულ პირთა სტატისტიკა დანაშაულთა კატეგორიისა და სახის მიხედვით

განრიდების გამოყენება არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე ხდება. მნიშვნელოვანია სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებაც დანაშაულის კატეგორიის მიხედვით.

2024 წელს, 14-დან 21 წლამდე განრიდებული 1084 პირიდან, განრიდება გამოყენებული იქნა მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი 514 პირის მიმართ, ე.ი. 2024 წელს 47% განრიდებულ იქნა მძიმე კატეგორიის, ხოლო 53% - ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე.

2021 წლიდან მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე განრიდების გამოყენების მზარდი ტენდენცია ფიქსირდება. ეს მაჩვენებელი 2021-2023 წლებში 42%-დან 45%-მდე მერყეობდა. თუმცა, 2023 წელს სულ განრიდებულ 14-დან 21 წლამდე ასაკის პირებში მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი 2%-ით იყო შემცირებული. 2024 წელს კი, კვლავ მომატებულია მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი და 47%-ს შეადგენს.

2020-2024 წლებში 14-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთაგან მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების პროცენტული მაჩვენებელი



აღსანიშნავია, რომ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ამავე კატეგორიის დანაშაულზე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელს.

კერძოდ, 674 განრიდებული არასრულწლოვნიდან 379 (56%) განრიდდა მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 410 განრიდებული 18-დან 21 წლამდე ასაკის პირიდან - 135 (33%) - მძიმე კატეგორიის დანაშაულზე.



ამდენად, არასრულწლოვანთა მიმართ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელს.

საქმის სირთულეს დანაშაულის კატეგორიასთან ერთად განსაზღვრავს დანაშაულთა სიმრავლეც. შესაბამისად, დანაშაულის კატეგორიის გარდა, საინტერესოა როგორია განრიდების გამოყენების მაჩვენებელი დანაშაულთა ერთობლიობის შემთხვევებში. სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, რიგ შემთხვევებში, არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებას პროკურორი დანაშაულთა ერთობლიობის დროსაც იყენებს. 2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდდა 137 (20%) პირი, ხოლო 18-დან 21 წლამდე განრიდებული 410 პირიდან - 55 (14%).

2024 წელს, დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 137 არასრულწლოვნიდან, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა ჩადენილი ჰქონდა 33 პირს, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 36-ს, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 68 არასრულწლოვანს. 2024 წელს დანაშაულთა ერთობლიობაზე განრიდებული 18-დან 21 წლამდე ასაკის 55 პირიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულთა ერთობლიობა ჩადენილი ჰქონდა 29-ს, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 7-ს, ხოლო მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა - 19 პირს.



ზემოთ მითითებული მონაცემები ცალსახად ადასტურებს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორისთვის მნიშვნელოვანია, თითოეული არასრულწლოვნის/18-დან 21 წლამდე ასაკის პირის ინდივიდუალური შეფასებისას იკვეთებოდეს დამცავი ფაქტორები, რომლებიც არასრულწლოვანთან/18-დან 21 წლამდე ასაკის პირთან მუშაობისას არსებული რისკფაქტორების მინიმუმამდე დაყვანის, მისი რესოციალიზაციის და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენება ყველაზე ხშირად საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე ხდება, რომელთაგან ძირითად შემთხვევებში სახეზე გვაქვს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - ქურდობის ჩადენა. 2024 წელს განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 423 (63%) არასრულწლოვანს.[16]

სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი შემდეგნაირია:

2024 წელს არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით



[16] მითითებული მაჩვენებელი მოიცავს, როგორც სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 1 ეპიზოდს, ასევე, დანაშაულთა ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 2 ან მეტ ეპიზოდს, ან სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელსაც.

დანაშაულთა ერთობლიობაშიც, ძირითადად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის რამდენიმე ეპიზოდი გვაქვს სახეზე. დეტალური ინფორმაცია დანაშაულთა ერთობლიობაზე არასრულწლოვანთა განრიდების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე.

2024 წელს არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი დანაშაულთა ერთობლიობაზე



18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდება, არასრულწლოვნების მსგავსად, ძირითად შემთხვევებში, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას მოხდა. 2024 წელს განრიდებული 18-დან 21 წლამდე ასაკის 410 პირიდან 216 პირს

(53%)[17] ჩადენილი ჰქონდა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

2024 წელს 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით



[17] მითითებული მაჩვენებელი მოიცავს, როგორც სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 1 ეპიზოდს, ასევე, დანაშაულთა ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 2 ან მეტ ეპიზოდს, ან სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელსაც.

18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მუხლობრივი მაჩვენებელი დანაშაულთა ერთობლიობაზე შემდეგია:

2024 წელს 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი დანაშაულთა ერთობლიობაზე



1.7. მედიაციის მაჩვენებელი 2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ

საქართველოს პროკურატურისთვის აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების და მედიაციის, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და საუკეთესო ინსტრუმენტის გამოყენების აქტიური მხარდაჭერა კვლავ რჩება პრიორიტეტად, ვინაიდან მედიაცია უზრუნველყოფს განრიდების პროცესში დაზარალებულის ჩართულობას და მისი ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას, რაც, თავის მხრივ, დაზარალებულის კმაყოფილების გარანტიას ქმნის.

აღსანიშნავია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების გაფართოება საერთაშორისო სამართლებრივ დონეზეა აღიარებული. კერძოდ, აღდგენითი მართლმსაჯულების გაფართოებაზე მიუთითებს ვენეციის 2021 წლის დეკლარაცია, რომელმაც სრულად გაიზიარა ევროკავშირის 2018 წლის მითითებები აღდგენითი მართლმსაჯულების გაფართოების შესახებ.[18]

2021 წლის დეკემბერში ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 40 სახელმწიფოს მინისტრთა დელეგაციამ ვენეციის დეკლარაციას „სისხლის სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების როლის შესახებ“ ერთხმად დაუჭირა მხარი. დეკლარაციამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი აღდგენითი მართლმსაჯულების ნებაყოფლობით ბუნებას, დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის დიალოგის პროცესის მნიშვნელობას და აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში ყველა მხარის საჭიროებებზე თანაბარი ზრუნვის შესაძლებლობას. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება აქცენტს აკეთებს მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე, ნებაყოფლობითობაზე, მონაწილეობაზე, კონფიდენციალურობაზე, დამნაშავეთა რეინტეგრაციაზე, მესამე მხარის მიუკერძოებლობასა და, შესაბამისად, სტიგმატიზაციის რისკის შემცირებაზე.[19]

აღდგენითი მართლმსაჯულების სულ უფრო სწრაფად დამკვიდრება სწორედ მისი იმ ბუნებითაა განპირობებული, რომ შეუძლია მოახდინოს დანაშაულებრივ ქცევაზე რეაგირება საზოგადოების, დაზარალებულისა და კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საჭიროებების დაბალანსებით.[20] ის კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან ერთად, ფოკუსირებულია მიყენებული ზიანის გამოსწორებაზე და ხშირად საზოგადოების ჩართულობით უზრუნველყოფს დამზარალებელსა და დაზარალებულს შორის კონფლიქტის გადაწყვეტას. მხარეთა მონაწილეობა აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის არსებითი ნაწილია, რაც უზრუნველყოფს მხარეთა შორის კონფლიქტის აღმოფხვრას და აერთიანებს მათ ძალისხმევას დამდგარი ზიანის აღმოფხვრის მიზნით.[21]

საქართველოში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების პროგრამის ფარგლებში მედიაციის ფორმით ხდება.

მედიაცია - კანონთან კონფლიქტში მყოფი პირისა და დაზარალებულის შეხვედრისა და მათ შორის დიალოგის პროცესია, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ, რადგან აღნიშნული ხელს უწყობს დანაშაულის გაცნობიერებას და იმის გააზრებას, თუ რა შედეგი მოჰყვა არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ ქმედებას და რა ზიანი მიადგა მეორე ადამიანს მის მიერ განხორციელებული

[18] ob.:https://www.euforumrj.org/en/how-venice-declaration-contributes-international-restorative-justice-framework
[19] ob.: Venice Declaration on the Role of Restorative Justice in Criminal Matters//13 and 14 December 2021, Venice, Italy
[20] Handbook on Restorative justice programmes – UNODC. Pg. 6//
https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Restorative_Justice_Programmes.pdf
[21] University of Cambridge. Restorative Justice: An International Perspective//https://www.educ.cam.ac.uk/research/programmes/restorativeapproaches/seminartwo/SiaLucio.pdf

ქმედებით. აღნიშნულს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნების მიღწევისთვის. მედიაციის, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ინსტრუმენტის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება, დანაშაულით გამოწვეული ემოციური თუ მატერიალური შედეგების გამოსწორება და სამართლიანობის აღდგენა.[22]

როგორც უკვე აღინიშნა, ქართულმა მართლმსაჯულების სისტემამ 2010 წლიდან დაიწყო მედიაციის, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთი ინსტიტუტის, დამკვიდრება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განრიდება-მედიაციის პროგრამის ფარგლებში და დღეს უკვე არსებობს პრაქტიკის კარგი მაგალითები.

საქართველოს გამოცდილება აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით დადებითად ფასდება. აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით საქართველოს საუკეთესო გამოცდილებას ხაზი გაესვა 2023 წელს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზეც „აღდგენითი მართლმსაჯულების როლი სისხლის სამართლის საქმეებში: გზა საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული მართლმსაჯულებისკენ," არაერთი ექსპერტის მიერ აღინიშნა მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობის შესახებაც.[23]

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მედიაციის მასშტაბების გაფართოება და პროცესის წარმატებით განხორციელება პროკურატურისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. მართლმსაჯულების პროცესში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საჭიროებებთან ერთად, მნიშვნელოვანია დაზარალებულის კმაყოფილება, რასაც მედიაციის პროცესში დაზარალებულის აქტიური ჩართულობა უწყობს ხელს.

სწორედ ამ მიზნით, განრიდების შესახებ წინასწარი გადაწყვეტილების მიღებამდე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრების შემდეგ, პროკურორი ხვდება დაზარალებულს, რომელსაც აწვდის ინფორმაციას განრიდებისა და მედიაციის პროცესის შესაძლო დაწყების შესახებ და განუმარტავს გადაწყვეტილების მიღების საფუძველსა და მიზეზებს.

პროკურორი დაზარალებულთან კომუნიკაციას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება. იგი დაზარალებულს განუმარტავს განრიდების არსს და მედიაციის პროცესის მნიშვნელობას, ასევე, აწვდის ინფორმაციას პროცესში მედიატორის ჩართვის აუცილებლობის და მედიატორის როლის შესახებ.

პროკურორი განრიდების ყველა იმ საქმეს, რომელსაც ჰყავს დაზარალებული, დაზარალებულის პოზიციის მიუხედავად, მედიაციის მიზნით ამისამართებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში". სააგენტოს მედიატორი წარმართავს მედიაციის პროცესს, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მედიაციის კონფერენციაზე აფორმებს განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებას.

მედიაციის მაჩვენებლის დამუშავება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან" კოორდინირებით ხდება. მონაცემების თანახმად, 2021 წელს, გასულ წლებთან შედარებით, მედიაციის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა. 2022 წელს კი, 2021 წელთან შედარებით, მედიაციის მაჩვენებელი შემცირებული იყო. მედიაციის მაჩვენებლის კლების

[22] Handbook on Restorative justice programmes – UNODC. Pg. 6 //
https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_on_Restorative_Justice_Programmes.pdf
[23] იხ.: https://pog.gov.ge/news/generalurma-prokurorma-irakli-shoTaZem-saerTashoriso-konferencia-aRdgeniTi-marTlmsajulebis-roli-s

ტენდენცია შენარჩუნდა 2023 წელსაც. მედიაციის მაჩვენებელმა 2023 წელს 54% შეადგინა, ხოლო 2024 წელს - 46%.

მედიაციის მაჩვენებელი დინამიკაში



აღსანიშნავია, რომ 18-დან 21 წლამდე პირთა მედიაციის მაჩვენებელს რიგ შემთხვევებში მნიშვნელოვნად აღემატება არასრულწლოვანთა მედიაციის მაჩვენებელი. მაგალითად, 2019 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი იყო 61%, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთა მიმართ - 40%. 2020 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი იყო 47%, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთა მიმართ - 40%. 2021 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი იყო 69%, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის განრიდებულ პირთა მიმართ - 61%. მხოლოდ 2022 წელს მონაცემები თითქმის გათანაბრდა არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ. კერძოდ, 2022 წელს მედიაციის მაჩვენებელი განრიდებულ არასრულწლოვანთა მიმართ შეადგენდა 60%-ს, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ - 61%-ს. 2023 წლის მონაცემებით კი, არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი იყო 56%, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ - 48%.

რაც შეეხება 2024 წლის მონაცემებს, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის მაჩვენებელი კვლავ აღემატება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მედიაციის მაჩვენებელს და 50%-ს შეადგენს.

მედიაციის მაჩვენებელი წლების მიხედვით არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი 6%-ით, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ 9%-ით არის შემცირებული. სამომავლოდ, მნიშვნელოვანია მედიაციის მაჩვენებლის შემცირების მიზეზების იდენტიფიცირება, მათი ანალიზი და აღდგენითი მართლმსაჯულების გააქტიურების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

საქართველოს პროკურატურა, მედიაციის კომპონენტის გასაძლიერებლად, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან“ კოორდინირებული თანამშრომლობით, მედიაციის პროცესისა და აღდგენითი მართლმსაჯულების აქტიურ მხარდაჭერას სამომავლოდაც გააგრძელებს.

1.8. 2024 წელს განრიდების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში

სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება გეოგრაფიული განფენილობის მიხედვით საქართველოს პროკურატურის სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად ხდება.

2024 წელს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი წესით, არასრულწლოვანთა/18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება თბილისში, ხოლო ყველაზე დაბალი - ქვემო ქართლში.

2024 წელს 14-დან 18 წლამდე პირთა განრიდების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში



არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ განრიდების სტატისტიკური მონაცემები რეგიონულ ჭრილში შემდეგია:

2024 წელს არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელი რეგიონულ ჭრილში



აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს ყველა რეგიონში აღემატება, გარდა თბილისისა და ქვემო ქართლისა.

2024 წელს თბილისსა და რეგიონებში არასრულწლოვანთა განრიდების პროცენტული მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივ დევნასთან შეფარდებით



აღსანიშნავია, რომ თბილისსა და ქვემო ქართლის ბრალდებულ არასრულწლოვანთა შორის დაბალია იმ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ.

1.9. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობა

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მიდგომები გულისხმობს არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების შემჭიდროებულ ვადებში მიღებას.

არასრულწლოვანთა მიმართ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლებრივ პრინციპს. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 ნაწილი აღნიშნულ ვალდებულებას მკაფიოდ განსაზღვრავს და ამბობს, რომ ყოველი ბავშვის მიმართ, რომელმაც დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, კომპეტენტურმა ორგანომ დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. ბავშვის საუკეთესო ინტერესი ბავშვის ქცევაზე დროული რეაგირების აუცილებლობას გულისხმობს. სწორედ ამიტომ, პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილებები დროულად იქნეს მიღებული, რათა არასრულწლოვანი რაც შეიძლება მალე ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც, თავის მხრივ, განრიდების მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების საფუძველზე განსაზღვრულ სერვისებში დროული ჩართვა მისი ანტისოციალური ქცევის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა. რაც უფრო დროულია რეაგირება, მით უფრო მარტივია არასრულწლოვანმა გაიაზროს მის მიერ ჩადენილი ქმედება, გააცნობიეროს დამდგარი შედეგები და აიღოს პასუხისმგებლობა ჩადენილ დანაშაულზე.

სწორედ ამიტომ, აღნიშნულ საკითხს ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და ყოველწლიურად ხდება გაანალიზება არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენიდან და სისხლის სამართლის საქმეზე დევნის დაწყების საფუძვლის გამოკვეთიდან რა ვადაში იქნა მიღებული არასრულწლოვნის განრიდების გადაწყვეტილება.

მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროულობის შესახებ სტატისტიკური მაჩვენებლები 2024 წელს, წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესებულია.

2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ 81% შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დანაშაულის ჩადენიდან სამი თვის ვადაში, მათ შორის, 54,3% შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დანაშაულის ჩადენიდან პირველივე თვეს. ხოლო, 2023 წელს არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება დანაშაულის ჩადენიდან სამი თვის ვადაში 78% შემთხვევაში მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის შედეგების თანახმად, 2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 91%-ის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის გამოკვეთიდან პირველი სამი თვის ვადაში მიიღეს, მათ შორის, 82%-ის შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის შექმნიდან პირველივე თვეს იქნა მიღებული. 2023 წელს კი, 89% შემთხვევაში არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის გამოკვეთიდან პირველი სამი თვის ვადაში.

დანაშაულის ჩადენიდან განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი



ბრალდებულად ცნობის საფუძვლის გამოკვეთიდან განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდი



1.10. 2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვნებთან გაფორმებული ხელშეკრულების ხანგრძლივობა, განრიდების ფარგლებში გამოყენებული ღონისძიებები და განრიდების ხელშეკრულების დარღვევის მაჩვენებელი

არასრულწლოვანთან, რომლის მიმართაც მიღებული იქნება განრიდების გადაწყვეტილება, ინდივიდუალური შეფასების განხორციელების შემდეგ, როდესაც განისაზღვრება არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებები და მოხდება შესაბამისი პირობების შერჩევა, ფორმდება განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება.

განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებით განსარიდებელი ერთვება განრიდების ღონისძიებებში. ბავშვის საჭიროებებზე მორგებული განრიდების ღონისძიებებისა და განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ვადის განსაზღვრა არასრულწლოვანის სოციალური გარემოს, მისი უნარების, ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვა გარემოებების შესწავლის საფუძველზე ხდება.

განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება მხარეებს შორის დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა, რომელიც შეიძლება დაიდოს 12 თვემდე ვადით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების შემთხვევაში, თუ განრიდების მიზნები ხელშეკრულების ვადის დასრულებისას სოციალური მუშაკის საბოლოო შეფასებით მიღწეულად ჩაითვლება, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება წყდება.[24]

სწორად შერჩეული განრიდების ღონისძიებები, ინდივიდუალური შეფასებით გამოკვეთილი დამცავი ფაქტორების გაძლიერებით, უზრუნველყოფს რისკფაქტორების შემცირებას, ბავშვის მიერ ჩადენილი ქმედების გააზრებას, მავნე ქცევების დაძლევას, ძლიერი მხარეების მოტივაციას, ბავშვის უნარების გაუმჯობესებას და პასუხისმგებლობის გააზრებას.

განრიდების ღონისძიებებთან ერთად, მნიშვნელოვანია განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ვადის სწორად განსაზღვრა. განრიდების ხელშეკრულების მცირე ვადამ შესაძლოა ვერ უზრუნველყოს პასუხისმგებლობის გააზრება. ამასთან, ხელშეკრულების ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს შერჩეული განრიდების ღონისძიებების რაოდენობასა და შინაარსს.

სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ძირითად ნაწილს - 77%-ს, განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება 4, 5 და 6 თვის ვადით გაუფორმდა. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, გაზრდილია 4, 5 და 6 თვის ვადით გაფორმებული ხელშეკრულებების წილი. 2023 წელს, განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება 4, 5 და 6 თვის ვადით არასრულწლოვანთა 72%-ს გაუფორმდა.

2024 წელს განრიდების ხელშეკრულება 1 თვის ვადით მხოლოდ 1 შემთხვევაში გაფორმდა. ასევე, 1 არასრულწლოვანს გაუფორმდა განრიდების ხელშეკრულება მაქსიმალური - 12 თვის ვადით. 2023 წელს 12 თვით განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება არცერთ არასრულწლოვანთან არ გაფორმებულა. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს იმ არასრულწლოვანს, რომელსაც მაქსიმალური 12 თვით გაუფორმდა ხელშეკრულება, ჩადენილი ჰქონდა ძალადობრივი დანაშაულის 4 ეპიზოდი. არასრულწლოვანი გამოძიების ეტაპზე არ აღიარებდა

[24] იხ.: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 1 თებერვლის №120 ბრძანება „არასრულწლოვნის მიმართ განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის გამოყენების წესისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების შესახებ.“

დანაშაულს. საქმე არსებითად განსახილველად წარიმართა და საქმის არსებითი განხილვის ეტაპიდან დაბრუნდა განრიდების მიზნით.

2024 წელს გაფორმებული განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია შემდეგია:

განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ხანგრძლივობა



განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების ვადის ანალიზთან ერთად, ასევე, მნიშვნელოვანია იმ სერვისების მიმოხილვა, რომლებშიც არასრულწლოვნები ერთვებიან განრიდების პროგრამის ფარგლებში.

არასრულწლოვნებისთვის შეთავაზებული სერვისები და ვალდებულებები აერთიანებს საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული, ფსიქო-სარეაბილიტაციო და საზოგადოებისათვის სასარგებლო სხვა აქტივობებს, რომლებიც ძირითად შემთხვევებში შემდეგი სახისაა:

საგანმანათლებლო და დანაშაულის გაცნობიერებაზე მიმართული აქტივობები:

- სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სამართლებრივი ლიტერატურის (მაგალითად, „სამართლის ქალაქის“) და მხატვრული ლიტერატურის გაცნობა;
- ესეს დაწერა სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ძირითად შემთხვევებში დანაშაულის ჩადენისა და განრიდების პროგრამის გავლენის შესახებ;
- სხვადასხვა დანაშაულთა შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაცნობა;
- მავნე ჩვევების (ალკოჰოლის, ნარკოტიკის მოხმარების, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების და ა.შ.) რისკებისა და საფრთხეების შესახებ ინფორმაციის მოძიება და გაცნობა;
- სკოლაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება, გაკვეთილებზე დროულად გამოცხადება და გაცდენების შეზღუდვა;
- პროფესიულ სწავლებასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევა.

ფსიქო-სარეაბილიტაციო სერვისები:

- მონაწილეობა ტრენინგ-კურსებში: „დანაშაულის გაცნობიერება“, „კონფლიქტები და ასერტული ქცევა“, „პოზიტიური ურთიერთობები და ცხოვრებისეული ფასეულობები“,

„მომავლის დაგეგმვა“, „ბრაზის მართვა“, „სტრესის მართვა“, „ეფექტური კომუნიკაცია“, „ჯანსაღი ცხოვრების წესი“, „თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა“, „თვითშეფასების, ახალი შესაძლებლობების განვითარების მოდული“, „ადამიანის უფლებები, მოწყვლადი ჯგუფებისადმი ტოლერანტობის განვითარება“.

- ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან ინდივიდუალური კონსულტაციები თემაზე: დამოკიდებული ქცევა და მისი ნეგატიური შედეგები, ძალადობის სახეების, შედეგების და სამართლებრივი მექანიზმების შესახებ; ინდივიდუალური კონსულტაციები ალკოჰოლის მოხმარების უარყოფით შედეგებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით; ძალადობის შედეგების გააზრებისა და თვითკონტროლის უნარების გამომუშავება; პროფესიული განათლების მიღების მნიშვნელობა; დანაშაულის რაობა; დანაშაულის ხელშემწყობი ფაქტორები; სასჯელის მიზანი; ძალადობრივი ქცევის მართვა.
- განსარიდებლის და მისი ოჯახის კონსულტაცია დელიქვენტური ქცევების მქონე პირებთან მეგობრობის საფრთხეების შესახებ.

საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობები:

- ეკლესიის, სახლ-მუზეუმების, ბიბლიოთეკის, ქალაქის კულტურის ცენტრისა და სკვერის დასუფთავება/დალაგების პროცესში მონაწილეობა;
- სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრებში სიარული და ბავშვების დახმარება;
- საქველმოქმედო ორგანიზაციის დახმარება სოციალურად დაუცველი მოხუცების კვებით უზრუნველყოფის პროცესში.

დაზარალებულის სასარგებლოდ დაკისრებული ვალდებულებები:

- დაზარალებულისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება;
- დაზარალებულის დახმარება;
- დაზარალებულისთვის წერილის მიწერა, სადაც უამბობს საკუთარი თავის, ჩადენილი ქმედების და ამ ქმედების მიმართ დამოკიდებულების შესახებ.

სხვა სახის შეზღუდვები და ვალდებულებები:

- სახლიდან გასვლის შეზღუდვა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში (ძირითადად, ღამის საათებში) და შესაბამისი გამონაკლისით;
- დაზარალებული იურიდიული პირის საქმიანობის სპეციფიკის, მისი დაარსებისა და საქმიანობის სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიება;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შეზღუდვა მასთან მომუშავე პროფესიონალების ინფორმირების გარეშე;
- აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლის, ასევე, იმ პირებთან ურთიერთობის დამყარების აკრძალვა, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყონ მის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას.

სისხლის სამართლის საქმეთა დოკუმენტური ანალიზი არ იძლევა შესაძლებლობას ზუსტად დაიდენტიფიცირდეს ხელშეკრულების პირობებით გაწერილი კონკრეტული აქტივობის შინაარსი. როგორც წესი, ხელშეკრულებაში ზოგადად მიეთითება, რომ არასრულწლოვანი ჩაერთვება მოხალისეობრივ აქტივობაში, მაგრამ კონკრეტულად რა სახის და რა ხანგრძლივობის მოხალისეობრივ აქტივობაში ერთვება ბავშვი, ეს ინფორმაცია არც ინდივიდუალურ შეფასებაში და არც განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებებში არ არის ასახული. ასევე, არ იდენტიფიცირდება რა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობაში უნდა ჩაერთოს ბავშვი, რადგან ამ შემთხვევაშიც ზოგადი მითითებაა ინდივიდუალურ შეფასებასა და

ხელშეკრულებაში, რომ ბავშვი ჩაერთოს სააგენტოს მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობაში, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული თუ რა სახის ან რა ხანგრძლივობის აქტივობა მოიაზრება.-.

საქართველოს პროკურატურის მიერ გაანალიზდა განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულებების შინაარსობრივი მხარეც.

ხელშეკრულებების შინაარსის ანალიზის შედეგების თანახმად, მოხალისეობრივი აქტივობის გამოყენება განრიდების/განრიდება მედიაციის ხელშეკრულების პირობად ყველაზე მეტ შემთხვევაში - 578 არასრულწლოვნის მიმართ მოხდა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობად მოხალისეობრივი აქტივობის განსაზღვრის შემთხვევაში, შემოთავაზებულია ალტერნატივა, რომლის თანახმადაც, მოხალისეობრივი აქტივობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ის შეიძლება ჩანაცვლდეს სხვა ღონისძიებით, მაგალითად, ესეს დაწერით. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ განრიდების ღონისძიების სახით მოხალისეობრივი აქტივობის გამოყენება დაკავშირებულია გარკვეულ სირთულეებთან, კერძოდ, ვერ ხერხდება შესაბამისი მოხალისეობრივი აქტივობების მოძიება, განსაკუთრებით რეგიონებში.

ფსიქოლოგის მომსახურება განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების პირობად 674 არასრულწლოვნიდან 158-ის შემთხვევაში იქნა გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი 81 არასრულწლოვნის მიმართ ფსიქოლოგის მომსახურება განრიდების ღონისძიებად გამოყენებული საერთოდ არ ყოფილა, თუმცა, ისინი ჩაერთნენ სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიებებში.

2024 წელს სულ განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩაერთო 519 პირი. ხშირია შემთხვევები, როდესაც სარეაბილიტაციო პროგრამები სოციალურ მუშაკთან კონსულტაციით არის ჩანაცვლებული.

განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განმეორებითი დანაშაულის დაბალი მაჩვენებელია. საქართველოს პროკურატურამ განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის გაანალიზება დამოუკიდებელ კვლევაში განახორციელა. მოცემული ანგარიშის მიზნებისთვის შესწავლილ იქნა 2024 წლის 1-ელი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით განრიდებული არასრულწლოვანთა მიერ საანგარიშო პერიოდში ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელი.

2024 წლის მონაცემებით, სულ განრიდებული 674 არასრულწლოვნიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მხოლოდ 26-მა პირმა (3,8%) ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული.

საქართველოს პროკურატურა 3-წლიანი პერიოდულობით იკვლევს განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელს. კვლევის შედეგები შესაბამის ანგარიშში სრულყოფილი სახით არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს, განახლებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, განხორციელდება განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი განმეორებითი დანაშაულის კვლევა.

2. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი

2.1. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ზოგადი სტატისტიკა

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების პრიორიტეტულობის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საფუძველი ხდება ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი ვერ აკმაყოფილებს განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ხოლო, როცა არასრულწლოვანი განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, პროკურორის მიერ არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევებში, როცა განრიდება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილების მიზნების მიღწევას. პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება კი ისეთ შემთხვევებში, როცა არასრულწლოვანი განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა და ამის მიუხედავად არ მოხდა მისი განრიდება, დასაბუთებულია განრიდებაზე უარის თქმის ოქმში.

პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს უფლება აქვს განრიდების მოთხოვნით ზემდგომ პროკურორს მიმართოს. პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის არცერთ შემთხვევაში არასრულწლოვანს, მის წარმომადგენელს ან ადვოკატს, განრიდების მოთხოვნით ზემდგომი პროკურორისთვის არ მიუმართავს.

2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 490 არასრულწლოვნის მიმართ.

2024 წლის მონაცემების ანალიზთან ერთად, საინტერესოა, როგორია არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დინამიკაში.

- ⇒ 2021 წლის მონაცემებით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 251 არასრულწლოვნის მიმართ, რაც 2018 წლის შემდგომ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.
- ⇒ 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს არასრულწლოვანთა დანაშაულის მატების პირდაპირპროპორციულად მომატებული იყო არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი.
- ⇒ 2019-2021 წლებში შეინიშნებოდა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლის კლების ტენდენცია.
- ⇒ 2022 წელს კვლავ მოიმატა არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელმა.
- ⇒ 2023 წლის მონაცემებით, 2022 წელთან შედარებით, სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი კვლავ მომატებული იყო.
- ⇒ 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მცირედით მომატებულია.

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით



წინა წლებთან შედარებით, 2023 წელს დევნის დაწყების რაოდენობრივი ზრდა არ უკავშირდება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ განრიდების გამოყენების შემცირებას. პროკურორები არასრულწლოვანთა მიმართ კვლავ პრიორიტეტულად იყენებენ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ღონისძიებებს, რასაც ადასტურებს ანგარიშის პირველ თავში არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თანაფარდობის შესახებ მოცემული ინფორმაცია.[25] სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლის ზრდა განპირობებულია ბრალდებულ არასრულწლოვნებში იმ არასრულწლოვანთა მაღალი ხვედრითი წილით, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ.

ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობრივი მატება კი პირდაპირ მიუთითებს არასრულწლოვანთა მიმართ პირველი და მეორე დონის პრევენციის გააქტიურების აუცილებლობაზე, რათა ბავშვები ნაკლებად მოვიდნენ შემხებლობაში მართლმსაჯულების სისტემასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი მოიცავს ერთი და იმავე არასრულწლოვნის მიმართ დევნის დაწყების რაოდენობას სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე. არასრულწლოვანთა ნაწილი განმეორებითი დანაშაულის ჩადენისკენ არის მიდრეკილი. რიგ შემთხვევებში, ერთი და იმავე არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებაზე დევნა განხორციელდა სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. მაგალითად, არასრულწლოვანმა კონკრეტულ პერიოდში ჩაიდინა დანაშაული, ფაქტზე დაიწყო გამოძიება და არასრულწლოვანს წარედგინა ბრალი, თუმცა, რამდენიმე თვეში გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანმა კვლავ ჩაიდინა დანაშაული. განმეორებით დანაშაულზე დაიწყო გამოძიება და არასრულწლოვანს, მის მიერ ჩადენილ განმეორებით დანაშაულზე, უკვე სხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში წარედგინა ბრალი. ამ შემთხვევაში, ერთი და იმავე არასრულწლოვანს ორ სხვადასხვა საქმეზე აქვს ბრალდებულის სტატუსი. დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრის მიზნით მოხდა აღნიშნული

[25] იხ.: წინამდებარე ანგარიშის გვერდი 8-9.

შემთხვევების იდენტიფიცირება და განისაზღვრა არასრულწლოვნების რაოდენობა, რომელთა მიმართაც დევნა სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაიწყო.

2024 წელს 490 არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, საიდანაც 251 არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 საქმის ფარგლებში, ხოლო 85-ის მიმართ - ორ ან მეტ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი ერთ ან სხვადასხვა საქმეზე



2024 წელს, 490 არასრულწლოვანი ბრალდებულიდან 482 - საქართველოს მოქალაქე იყო, 3 - თურქეთის, 1 - აზერბაიჯანის, 1 - ყაზახეთის, 1 - ლიბანის, ხოლო 2 არასრულწლოვანი - მოქალაქეობის არმქონე იყო.

2024 წლის მონაცემებით, ბრალდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი სქესის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: 435 იყო მამრობითი, ხოლო 55 - მდედრობითი სქესის.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტ შემთხვევაში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ქ. თბილისისა და თბილისის რაიონული პროკურატურების მიერ დაიწყო.

2024 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ 490 ბრალდებული არასრულწლოვნიდან 85%-ის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველ სამ თვეში იქნა მიღებული, მათ შორის, 70%-ის შემთხვევაში პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველივე თვეს მიიღო.

პერიოდი დანაშაულის ჩადენიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე



ზემოაღნიშნული მაჩვენებლები ცალსახად მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ გამოძიების წარმოება და გადაწყვეტილებების მიღება დროულად, გაუმართლებელი დაყოვნებების გარეშე ხდება. აღსანიშნავია, რომ პირველი 3 თვის ვადაში, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობის მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით, გაუმჯობესებულია. 2023 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველ სამ თვეში იქნა მიღებული 82,6%-ის მიმართ.

პროკურატურა აღნიშნული მიმართულებით კვლავ გააგრძელებს არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგს.

2.2. 2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკა დანაშაულის კატეგორიებისა და სახის მიხედვით

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლების გაანალიზების დროს, სტატისტიკური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს დანაშაულის კატეგორია და სახე.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, წინა წლების მსგავსად, 2024 წელსაც სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითად შემთხვევაში მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა მიმართ დაიწყო. კერძოდ, 2024 წელს 490 ბრალდებული არასრულწლოვნიდან სისხლისსამართლებრივი დევნა 340-ის (69,4%) მიმართ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, 105-ის (21,4%) მიმართ ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 45-ის (9,2%) მიმართ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულზე დაიწყო.

2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულის კატეგორიების მიხედვით



2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა ნახევარს დანაშაულთა ერთობლიობა ჰქონდა ჩადენილი. კერძოდ, 2024 წელს ბრალდებული 490 არასრულწლოვნიდან 245 (50%) არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულთა ერთობლიობაზე დაიწყო. მათგან, 105 არასრულწლოვანს ჩადენილი ჰქონდა მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 92 არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 32 არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 10 არასრულწლოვანს - მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 3 არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა, 2 არასრულწლოვანს - განსაკუთრებით მძიმე, ხოლო 1 არასრულწლოვანს - ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა ერთობლიობა.

დანაშაულთა ერთობლიობაზე არასრულწლოვანთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით



ბრალდებულ არასრულწლოვანთა შორისაც ყველაზე მაღალი ქურდობის მაჩვენებელია. 2024 წელს ბრალდებული 490 არასრულწლოვნიდან 312-ს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.[26]

2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით



[26] მითითებული მაჩვენებელი მოიცავს, როგორც სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 1 ეპიზოდს, ასევე, დანაშაულთა ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის 2 ან მეტ ეპიზოდს, ან სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან ერთობლიობისას სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელსაც.

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი დანაშაულთა ერთობლიობაზე სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით



2.3. 2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები

2024 წელს, 490 ბრალდებული არასრულწლოვნიდან, პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიება მოთხოვნილი იქნა 420 (86%) არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო 70 (14%) არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიება არ ყოფილა მოთხოვნილი. პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა მოთხოვნილი იყო ბრალდებულ არასრულწლოვანთა 20%-ის მიმართ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი, პროკურორმა იშუამდგომლა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებები



2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ პროკურატურის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია შემდეგია:

მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - გირაო		*280*
შეეფარდა	გირაო	227 (81%)
	აღკვეთზე საპროცესო	36 (13%)
	დატოვა აღკვეთის გარეშე	9 (3%)
	მეთვალყურეობაში გადაცემა	5 (2%)
	შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ	3 (1%)
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა		*98*
შეეფარდა	პატიმრობა	75 (77%)
	გირაო	22 (22%)
	დატოვა აღკვეთის გარეშე	1 (1%)
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - მეთვალყურეობაში გადაცემა		*39*
შეეფარდა	მეთვალყურეობაში გადაცემა	36 (92%)
	აღკვეთზე საპროცესო	2 (5%)
	დატოვა აღკვეთის გარეშე	1 (3%)
მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - საპატიმრო გირაო		*3*
	გირაო	3 (100%)

ამდენად, 2024 წელს ბრალდებული 490 არასრულწლოვნიდან, პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით სასამართლოს 420 შემთხვევაში მიმართა.

სასამართლომ 382 შემთხვევაში იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, ხოლო 38 არასრულწლოვანთან, აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე, საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა.

სასამართლოს მიერ განხილული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის 382 შუამდგომლობიდან, სრულად დაკმაყოფილდა 341 (89%) შუამდგომლობა.

სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ პროკურორის შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის მაჩვენებელი მხოლოდ 3%-ს შეადგენს.

2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების დაკმაყოფილების მაჩვენებელი



2.4. 2024 წელს არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები

2024 წელს ბრალდებული 490 არასრულწლოვნიდან, მონიტორინგის დასრულების ეტაპისთვის:

- ⇒ 244 არასრულწლოვნის მიმართ გამოტანილი იყო განაჩენი;
- ⇒ 227 არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმე იყო სასამართლო განხილვის ეტაპზე;
- ⇒ 7 არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება;
- ⇒ 6 არასრულწლოვნის საქმე სასამართლოს მიერ დაბრუნდა განრიდების მიზნით, ხოლო 1 არასრულწლოვნის მიმართ პროკურორმა შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა განრიდების მიზნით;
- ⇒ 5 არასრულწლოვნის მიმართ კი, ამნისტიის საფუძველზე, სასამართლოს მიერ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

244 არასრულწლოვნიდან, რომელთა მიმართაც დადგა განაჩენი, 3 არასრულწლოვნის მიმართ 1 სისხლის სამართლის საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო დანარჩენი 241 არასრულწლოვნიდან 155 (64%) არასრულწლოვანთან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო 86 (36%) არასრულწლოვნის მიმართ საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

155 არასრულწლოვნიდან 88 არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, 44 არასრულწლოვნის მიმართ - ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე, 14 არასრულწლოვნის მიმართ - წინასასამართლო სხდომამდე, ხოლო 9 არასრულწლოვნის მიმართ - გამოძიების ეტაპზე, წინასასამართლო სხდომამდე.

241 არასრულწლოვნის მიმართ, რომელთა სისხლის სამართლის საქმეზეც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, 163 არასრულწლოვნის (68%) მიმართ არასაპატიმრო სასჯელი იქნა გამოყენებული. 2024 წელს ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ შეფარდებული სასჯელების შესახებ დეტალური ინფორმაცია შემდეგია:

არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული სასჯელები



3. შეჯამება - 2024 წლის ძირითადი ტენდენციები

2024 წლის ძირითადი სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე გამოკვეთილი ტენდენციები შემდეგია:

⇒ 2024 წელს მომატებულია არასრულწლოვანთა მიმართ როგორც განრიდების გამოყენების, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. **2024 წელს, 2010 წლიდან დღემდე, არასრულწლოვანთა განრიდების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.**

⇒ 2024 წელს, სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებით, შენარჩუნებულია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაღალი მაჩვენებელი. ამასთან, **ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით განრიდების ხვედრითი წილი 2023 წელთან შედარებით მომატებულია.**

⇒ **იმ ბრალდებულ არასრულწლოვნებთან მიმართებით, რომლებიც განრიდების კანონით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, განრიდების გამოყენების მაჩვენებელი 80%-ს წარმოადგენს.** 2019-2020 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 75%, ხოლო 2021-2024 წლებში სტაბილურად 80% გახლავთ.

⇒ **2024 წელს სასამართლოდან არასრულწლოვნის განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი 2% გახლავთ. 2024-2023 წლებში, წინა წლებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი შემცირებულია.** განრიდების მიზნით არასრულწლოვანთა საქმის სასამართლოდან დაბრუნების მაჩვენებელი 2022 წელს - 2%, 2021 წელს - 5%, ხოლო 2020 წელს - 9% იყო.

⇒ **2024 წელს 14-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი მძიმე კატეგორიის დანაშაულზე 47%-ს შეადგენს.** 2023 წელს მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების მაჩვენებელი 43%, 2022 წელს - 45%, 2021 წელს - 42%, ხოლო 2020 წელს - 32% იყო. აღსანიშნავია, რომ მძიმე კატეგორიის დანაშაულზე არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი 23%-ით აღემატება ამავე კატეგორიის დანაშაულზე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდების მაჩვენებელს.

⇒ 2024 წელს, წინა წლების მსგავსად, განრიდება უმრავლეს შემთხვევებში გამოყენებულ იქნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ არაძალადობრივ დანაშაულებზე. **არასრულწლოვანთა 63%, ხოლო 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა 53% სწორედ სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე განრიდდა.**

⇒ გასულ წლებთან შედარებით, 2021 წელს დაფიქსირდა 14-დან 21 წლამდე ასაკის პირებთან მედიაციის მაჩვენებლის მკვეთრი მატება, რამაც 65% შეადგინა. თუმცა, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს მედიაციის მაჩვენებელი 5%-ით შემცირდა და 60% შეადგინა. მედიაციის კლების ტენდენცია შენარჩუნდა 2023 წელსაც და 54% შეადგინა. **2024 წელს კი მედიაციის მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა და 46% შეადგინა. რაც შეეხება 14-დან 18 წლამდე ასაკის პირებს, 2022 წლიდან მედიაციის გამოყენების მაჩვენებელი ამ ასაკობრივი კატეგორიის პირთა განრიდების პროცესში, კლების ტენდენციით ხასიათდება. 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით, არასრულწლოვანთა მიმართ მედიაციის მაჩვენებელი 6%-ით შემცირდა და 50% შეადგინა.**

⇒ 2024 წლის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგები მიუთითებს, რომ პროკურორები არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გადაწყვეტილებას დროულად იღებენ. **2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა 91%-ის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის გამოკვეთიდან პირველი სამი თვის ვადაში იქნა მიღებული, მათ შორის, 82%-ის შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწყვეტილება მიღებული იყო დევნის დაწყებისთვის საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის შექმნიდან პირველივე თვეს.**

⇒ **2024 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ძირითად ნაწილს - 77%-ს, განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულება 4, 5 და 6 თვის ვადით გაუფორმდათ.** 2024 წელს განრიდების ხელშეკრულება 1 თვის ვადით მხოლოდ 1 შემთხვევაში გაფორმდა, ასევე, 1 არასრულწლოვანს გაუფორმდა განრიდების ხელშეკრულება მაქსიმალური 12 თვის ვადით.

⇒ განრიდების/განრიდება-მედიაციის ხელშეკრულების პირობების ანალიზი აჩვენებს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ კომბინირებულად გამოიყენება რამდენიმე პირობა. ხელშეკრულებების შინაარსის ანალიზის შედეგების თანახმად, მოხალისეობრივი აქტივობის გათვალისწინება განრიდების/განრიდება - მედიაციის ხელშეკრულების პირობად **ყველაზე მეტ შემთხვევაში - 578 არასრულწლოვნის მიმართ მოხდა. ფსიქოლოგის მომსახურება განრიდების/განრიდება - მედიაციის ხელშეკრულების პირობად 674 არასრულწლოვნიდან 158 არასრულწლოვანთან იქნა გათვალისწინებული. სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ღონისძიებებში კი, 519 არასრულწლოვანი ჩაერთო.**

⇒ **2024 წლის მონაცემებით, 544 განრიდებული არასრულწლოვნიდან, ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, განმეორებითი დანაშაული მხოლოდ 26-მა (3,8%) პირმა ჩაიდინა.** აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი 2%-დან 4%-მდე მერყეობს.

⇒ **2024 წელს, 490 ბრალდებული არასრულწლოვნიდან, 85% შემთხვევაში არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გამოძიების დაწყებიდან პირველ სამ თვეში იქნა მიღებული, მათ შორის, 70% შემთხვევაში პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება პირველივე თვეს მიიღო.** შესაბამისად, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების ანალოგიურად, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილება გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე მიიღება.

⇒ 2024 წელს, 490 ბრალდებული არასრულწლოვნიდან, **პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიება მოთხოვნილი იქნა 420 (86%) არასრულწლოვნის მიმართ, ხოლო 70 (14%) არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიება არ ყოფილა მოთხოვნილი. პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოთხოვნილი იყო ბრალდებულ არასრულწლოვანთა 20%-ის მიმართ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში პროკურორმა იშუამდგომლა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.**

⇒ 2024 წლის სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ **პროკურორის შუამდგომლობის**

დაუკმაყოფილებლობის მაჩვენებელი მხოლოდ 3%-ს შეადგენს, ხოლო 89% შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობა სრულად დაკმაყოფილდა.

⇒ 2024 წლის მონაცემების თანახმად, იმ **241 არასრულწლოვნის მიმართ, რომელთა სისხლის სამართლის საქმეზეც დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, 163-ის (68%) მიმართ არასაპატიმრო სასჯელი იქნა გამოყენებული.**

საქართველოს გენერალური პროკურატურა

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი

სტრატეგიული განვითარების სამმართველო

2025 წელი